დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცა

შეფასების თარიღ(ებ)ი
2022 წლის 18 და 19 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2022 წლის 17 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216305200

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. რუსთავი
იურიდიული მისამართი	დ. გარეჯის ქ. N2
ფაქტობრივი მისამართი	დ. გარეჯის ქ. N2
საფოსტო ინდექსი	2700

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ვებ-გვერდი	https://retsa.edupage.org/
დაწესებულების ელ-ფოსტა	retsa_22@hotmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0341257588
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ვახტანგ აბაიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599589651
ელ-ფოსტა	retsa_22@hotmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა "რეცა"-ში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 06 ივნისის MES 2 22 0000595095 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 18 და 19 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მიხეილ ტეფნაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა მონიავა
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნ. მონიავა

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☒
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☐	☒
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☐	☒
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☐	☒
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☐	☒
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	1.4. სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით	2.5. სკოლის ვებ გვერდი არ ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
	2.6.ბ. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	2.6.ბ. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედია დასმული. გარდა ამისა, პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა არ ემთხვევა შენობის შიდა სივრცეს (კიბის მეორე უჯრედი არ არის დატანილი);
	2.6.გ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	2.6.გ. სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ შეესაბამება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს;
	2.6.დ. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	2.6.დ. სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი;
	2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	2.7. სკოლის შინაგანაწესი არ არის შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად; 2.7. სკოლის ბიბლოთეკის დებულების ორ პუნქტში აღწერილია პროფესიული სტუნტის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
	3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	3.3 სკოლაში არ არის შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევისა და მიღებისა გამჭვირვალე სისტემა;
	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს ავტორიზაციის ვიზიტისას მოქმედების ვადა ჰქონდათ დასრულებული;

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	1.2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აწარმოოს მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე შეთავაზებულ ენებს შორის არჩევანის გაკეთების ამსახველი დოკუმენტაცია, ან მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე ერთი უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისი დასაბუთებით შეათანხმოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან; 1.2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იმ შემთხვევაში თუ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს სპორტის სახეობების საფეხური და კლასები; 1.2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში განისაზღვროს აღნიშნული დამატებითი საგანამანთლებლო მომსახურების სახე (სავალდებულო ან ფაკულტატური) და განიმარტოს, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; 1.2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ე.წ. სასწავლო-საგნობრივი პროგრამების ჩარჩოებს დაემატოს სულ მცირე ისეთი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება იმისი დადგენა, თუ რომელი შესასწავლი შინაარსით, სტანდარტის რომელ შედეგს მიაღწევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მოსწავლე;
	1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	1.4. „7.3. საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები“ – განსაზღვრავს შემდეგს: „ ... 4. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. ...”. ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის „მე-7“ პუნქტის მიხედვით „... V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. ...”. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩანაწერი შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ აღნიშნული პუნქტის შინაარსთან. 1.4. „7.7. გაცდენები“ - აღნიშნულ თავში არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის „მე-4“ პუნქტის შინაარსი, რომლის მიხედვითაც მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაცდენილი კონკრეტული საგნისთვის სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გამოთვლისას არ იანგარიშება ის საგაკვეთილო საათი, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩანაწერი შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ აღნიშნული პუნქტის შინაარსთან. 1.4. „7.8. გამოცდის ტიპები“ – სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით „ ... 1. სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა. ... ბ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; გ) საშემოდგომო გამოცდა; დ) ექსტერნატის გამოცდა; ე) სკოლის გამოსაშვები გამოცდა. ...“ „...10. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება. 11. სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ...“. არ არის დადგენილი წლიური გამოცდის საფეხური/საფეხურები, კლასი/კლასები, საგანი/საგნები, რომელშიც/რომლებშიც ჩატარდება წლიური გამოცდა და მათი შესრულების ფორმატი. ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის „მე-10“ და „მე-11“ პუნქტების მიხედვით „...10. წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე. 11. თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევით პასუხიანი ტესტების შეთავაზება. ...“. სკოლის გამოსაშვებ გამოცდასთან დაკავშირებით კი უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		აიღნიშნოს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლი არ ადგენს სკოლის გამოსაშვებ გამოცდას და მის გავლენას სრული ზოგადი განათლების ატესტატის აღებაზე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩანაწერი შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ აღნიშნული პუნქტების შინაარსთან. 1.4. „7.9. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება“ - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით „...2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. 3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს. …”. ეროვნული სასწავლო გეგმის 37-ე მუხლის „მე-2“ და „მე-3“ პუნქტების მიხედვით მოსწავლე იღებს არა „ატესტატს“, არამედ „სერტიფიკატს“. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის აღნიშნული თავი არ მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმის ამავე მუხლის „მე-4“ და „მე-5“ პუნქტების შინაარსებს. კერძოდ, „... 4. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		სერტიფიკატები არ გაიცემა. 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 98/ნ ბრძანების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაძლიეს ექსტერნატის ფორმით. ...“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩანაწერი შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ აღნიშნული პუნქტების შინაარსთან. 1.4. სკოლაში შემაჯამებელი დავალებების უმეტესი ნაწილი ღია და დახურული კითხვებისგან შემდგარი ტესტია. წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების მიხედვით მიმდინარეობს მიღებული ქულების სტატისტიკა, კლასის შედეგების ზოგადი მიმოხილვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებაში. იშვიათადაა აღწერილი მოსწავლეების საჭიროების გადაჭრის შესაბამისი აქტივობები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სულ მცირე შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში შეასრულონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნა. მოსწავლეებს შეასრულებინონ კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). განსაზღვრონ მოსწავლეების საჭიროების გადაჭრის შესაბამისი აქტივობები. 1.4. მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების რუბრიკების შემადგენელი კრიტერიუმები ზოგადია და ნაკლებად იძლევა შესასრულებელი დავალების ზუსტად გააზრების შესაძლებლობას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მაქსიმალური აქცენტი გაკეთდეს მასწავლებლების კომპეტენციის განვითარებაზე კონკრეტული დავალების მიზნის შესაბამისი რუბრიკების შემუშავების მიმართულებით. 1.4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 05 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის (შემდეგში შინაგანაწესი) მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს, რომლის 4.7. პუნქტის მიხედვით „... კონკრეტულ საგანში ან საგანთა ჯგუფში წარუმატებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა დავალება განსაზღვრული ვადით, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში დაიშვება მომდევნო ეტაპზე; ...“, ხოლო 4.8. პუნქტით „... თუ მოსწავლე ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ აღწევს წარმატებას, პედაგოგიური საბჭოს თანხმობით და ფსიქოლოგის რჩევის გათვალისწინებით იგი რჩება კურსის გამეორებით მოსასმენად; ...“ მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის შეფასების სისტემის შესახებ, რომლის 10.4. პუნქტის მიხედვით მოსწავლე ნიშნით ფასდება V-XII კლასებში, ხოლო 10.10. პუნქტით კი საერთო წლიური ნიშანი უნდა იყოს 5-ზე მეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლა მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებშიც მოსწავლეებს 2021-2022 სასწავლო წლის ჩათვლით უწერიათ საერთო წლიური ქულები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით საფეხურის ქულა გამოითვლება საერთო წლიური ქულის მაჩვენებლის მიხედვით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის შეფასების სისტემას მიიჩნევს შინაგანაწესის შემადგენელ ნაწილად, დაზუსტდეს აღნიშნული დოკუმენტის 4.7. და 4.8. პუნქტების შინაარსი და 10.4., 10.10. პუნქტებთან ერთად შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის VII თავით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემასთან. აღნიშნული სისტემის გამოყენებით შეავსონ მოსწავლის პირადი საქმე და გამოთვალონ საფეხურის საერთო ქულა.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.1.ა.* ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	2.1.ა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, პირველ სართულზე საწყობად გამოყენებული საკლასო ოთახებიდან გატანილ იქნას ნარჩენი მასალა, მერხების, სკამებისა და სხვა სამეურნეო ინვენტარის კონსტრუქციები, რათა დაცული იქნას ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები და უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება;
	2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	2.5. სკოლის ვებ გვერდია https://retsa.edupage.org/? რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მთავარი გვერდი, სიახლეები, სკოლის შესახებ, მოსწავლეები და მშობლები, კონაქტი. განყოფილებებიდან მხოლოდ კონტაქტის ნაწილშია შეტანილი ინფორმაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოდ სკოლის ვებ გვერდის განყოფილებების შესაბამისი ინფორმაციით შევსება;
	2.6.ა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	2.6.ა. სკოლამ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი პროცედურა ზოგადია, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შემუშავდეს სკოლის საჭიროებაზე მორგებული ინსტრუქცია;
	2.6.ბ. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	2.6.ბ. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედია დასმული. გარდა ამისა, პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		არ ემთხვევა შენობის შიდა სივრცეს (კიბის მეორე უჯრედი არ არის დატანილი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ უფლებამოსილ ორგანიზაციასთან ან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შედგეს სწორი საევაკუაციო გეგმები;
	2.6.გ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	2.6.გ. სამედიცინო დახმარების ოთხაში არ დგას პაციენტთა პირადი გასინჯვისთვის გამოსაყენებელი ტიხრული შირმა და საკაცე. არ არის ხელსაბანი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის სამედიცინო კაბინეტი შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და შემუშავდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
	2.6.დ. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	2.6.დ. სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტი და შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
	2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	2.7. შინაგანაწესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს, რომლის: • 4.2. პუნქტის მიხედვით „... სკოლის I კლასში მშობლის განცხადების საფუძველზე მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც შეუსრულდათ 6 წელი და რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით (უნარებით) შეესაბამებიან სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში; ...“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით არ ირკვევა რა პერიოდამდე უნდა შეუსრულდეს მოსწავლეს 6 წელი. • 4.7. პუნქტის მიხედვით „... კონკრეტულ საგანში ან საგანთა ჯგუფში წარუმატებლობის შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა დავალება განსაზღვრული ვადით, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		დაიშვება მომდევნო ეტაპზე; ...“, ხოლო 4.8. პუნქტით „... თუ მოსწავლე ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ აღწევს წარმატებას, პედაგოგიური საბჭოს თანხმობით და ფსიქოლოგის რჩევის გათვალისწინებით იგი რჩება კურსის გამეორებით მოსასმენად; ...“ მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის შეფასების სისტემის შესახებ, რომლის 10.4. პუნქტის მიხედვით მოსწავლე ნიშნით ფასდება V-XII კლასებში, ხოლო 10.10. პუნქტით კი საერთო წლიური ნიშანი უნდა იყოს 5-ზე მეტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის შეფასების სისტემას მიიჩნევს შინაგანაწესის შემადგენელ ნაწილად, დაზუსტდეს აღნიშნული დოკუმენტის 4.7. და 4.8. პუნქტების შინაარსი და 10.4., 10.10. პუნქტებთან ერთად შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის VII თავით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემასთან. • 4.12. პუნქტის მიხედვით „... სკოლის კანონმდებლობით, სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა ხდება დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, როდესაც მოსწავლის ქცევა ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ქცევის ნორმებს ან მოსწავლეს აქვს დაბალი აკადემიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მოსწრება; ...“ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული პუნქტის შინაარსში დაკონკრეტდეს ზოგადი განათლების რომელი საფეხურიდან ხდება მოსწავლის გარიცხვა და გათვალისწინებულ იქნას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 12[1] პუნქტის შინაარსი; • არც სკოლის შინაგანაწესი და არც მოსწავლის ქცევის კოდექსი არ მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ერთ-ერთ დოკუმენტში მაინც გაწეროს კონკრეტულად მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. 2.7. დაწესებულება ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით განაცხადი გაკეთებული აქვს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების დაწყებითი, საბაზო და საშუალო პროგრამის განხორციელებაზე. სკოლის ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით კი სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციებსა და მოვალეობებს წარმოადგენს „... დ) სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების საბიბლიოთეკო მომსახურება; ...“ პროფესიული სტუდენტის შესახებ კიდევ ერთი ჩანაწერი გვხვდება ამავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		დოკუმენტში „... 2.3.1. ბიბლიოთეკის სარგებლობის უფლება აქვს ‘რეცას” .... გ) მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებს ...“. სკოლას ეძელვა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკის დებულებთ განსაზღვრული იყოს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა მომსახურება;
	2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	2.9. სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაკონკრეტდეს დოკუმენტის ფორმატი (ბეჭდური ან ხელნაწერი) და ბეჭდურ ან ხელნაწერ შემთხვევებში გათვალისიწნებულ იქნას ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით“ გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები (მაგ.: საფუძველი/შესაბამისობა, გასაჩივრების ნაწილი) (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი).
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	3.2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად არ ხორციელდება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იმოქმედოდ აღნიშნული წესის შესაბამისად; 3.2. სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		თანამშრომლებმა წარმოადგინონ ზემოთ დასახელებული დოკუმენტები; 3.2. მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება სტატუსი, მიუხედავად მათი სტატუსისა არ არის განსხვავება მათ ვალდებეულებებში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლებთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები;
	3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	3.3. სკოლის შინაგანაწესში გაწერილი მუშაკის სამუშაოზე მიღების წესები „მუხლი 5. მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესი“, თუმცა არ არის განმარტებული თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის გამოცხადების წესი.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	დაწესებულების მიერ ორგანიზებული საზაფხულო ბანაკი.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა, აღზარდოს მორალურად და ზნეობრივად ჯანსაღი, ინტელექტუალურად განვითარებული, თავისუფლად მოაზროვნე, პატრიოტული სულისკვეთების მქონე ახალგაზრდები. აღნიშნული გულისხმობს როგორც საგნობრივი კომპეტენციით უზრუნველყოფას, ასევე ფიზიკური და სოციალური (ინტერპერსონალური ურთიერთობები, გუნდურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუშაობის უნარები, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული) უნარების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ეფექტურ ადაპტაციას, მათ წარმატებასა და თვითრეალიზებას. ემსახუროს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებისათვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	სკოლის შემაჯამებელი დავალებების ფორმების მოყვანა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ფორმებთან.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა	☐	ავტორიზაციის ექსპერტების სკოლის შენობაში ვიზიტისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რაოდენობა: **460**	**ექსპერტი არ ეთანხმება** ☒	ვიზუალურად დადასტურდა 18 კომპიუტერი, საიდანაც 7 არ მუშაობდა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, 2 კომპიუტერი სკოლის თანამშრომლებს ჰქონდათ წაღებული. 460 მოსწავლისათვის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს 23 კომპიუტერი მაინც.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2021 წლის 08 სექტემბრის N30-01/01 ბრძანებით (შემდეგში სასკოლო სასწავლო გეგმა), შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • სკოლის მისია; • კალენდარი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; • სკოლის ზოგადი განათლების საფეხურების ამოცანები; • საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღანელოების ჩამონათვალი); • შეფასების პრინციპები (საგნების და კლასების მიხედვით შეფასების კომპონენტები, აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლე უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასაყვანად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაცდენების ოდენობა); • ინკლუზიური განათლება; • სადამრიგებლო პროგრამა. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტები შეესაბამება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების (შემდეგში ეროვნული სასწავლო გეგმა) 21-ე მუხლის მე-4 პუნქტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში გარდა VIII კლასისა ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და სავალდებულოდ არჩევითი საგანი. საათობრივ ბადეში აღნიშნულ კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნის „სამოქალაქო განათლების“ გრაფაში არ არის მითითებული სემესტრული/წლიური საათობრივი დატვირთვა. თუმცა, საგანში „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ კვირაში 1 საათია შეტანილი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი და „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ 1 საათიანი დატვირთვა უნდა ყოფილიყო ჩაწერილი „სამოქალაქო განათლების გრაფაში“. ექსპერტემბა სკოლის ადმინისტრაციის განმარტების შემდეგ გადაამოწმეს სკოლის ელექტრნული ჟურნალი, სადაც გაკვეთილების ცხრილში ეწერა სამოქალაქო განათლება და VIII კლასელი მოსწავლის პირადი საქმე, რომელშიც მოსწავლე შეფასებული იყო სამოქალაქო განათლებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა მოსწავლეებს სასკოლო საათობრივი ბადით სთავაზობს მეორე უცხოური ენის - რუსული ენის - შესწავლას III კლასიდან კვირაში ორსაათიანი დატვირთვით. ეროვნული სასწავლო გეგმის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხევით „ ... პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასიდან, ხოლო მეორე უცხოური ენის - V კლასიდან … სკოლამ მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად....“. სკოლას შეუძლია III კლასიდან დაიწყოს მეორე უცხოური ენის სწავლება, მაგრამ V კლასიდან დაწესებულების მოსწავლეებს უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა მეორე უცხოური ენის სტატუსის ორ უცოხურ ენას შორის გაეკეთებინათ არჩევანი. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლის დირექტორს სურდა მოსწავლეებისთვის მეორე უცხოური ენის სტატუსით შეეთავაზებინა გერმანული ენაც, თუმცა მშობლებმა რუსულ ენაზე გააკეთეს არჩევანი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მეორე უცხოურ ენაში მშობლების/მოსწავლეების მიერ გაკეთებული არჩევანის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. იმ შემთხვევაში თუ მეორე უცხოურ ენად მხოლოდ რუსული ენის სწავლებას სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებად მივიჩნევთ, აღნიშნული შეთანხმებული უნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აწარმოოს მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე შეთავაზებულ ენებს შორის არჩევანის გაკეთების ამსახველი დოკუმენტაცია, ან მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე ერთი უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისი დასაბუთებით შეათანხმოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლეები I-XII კლასის ჩათვლით სწავლობენ საგანს „სპორტი“. თუმცა, არ ირკვევა რომელ კლასებში აქვს არჩეული სკოლას სპორტის სახეობად მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ფრენბურთი/კალათბურთი. ეროვნული სასწავლო გეგმის 53-ე მუხლის „პირველი“ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ა) ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლასებში); ბ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი (VII-XII კლასებში). გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იქიდან, რომ 2021-2022 სასწავლო წლისათვის, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდებოდა „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანების მიხედვით სკოლას მხოლოდ საშუალო საფეხურის X, XI და XII კლასებში ჰქონდა უფლება მოსწავლეებისთვის სპორტის სახეობები შეეთავაზებინა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს სპორტის სახეობების საფეხური და კლასები. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებად მიიჩნევს შემდეგ საგნებსა და საათობრივ დატვირთვებს: „ ... 4. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; VII კლასში პირველ უცხო ენას (ინგლისური) ემატაბა 1 სთ. VIII კლასში I სემესტრში - 1 სთ; II სემესტრში - 2 სთ; IX; X; XI და XII კლასებში პირველ უცხო ენას ემატაბა 2 სთ.; VIII კლასში ისტორიას I სემესტრში ემატება 1 სთ.; III და IV კლასებში ისწავლება მეორე უცხო ენა რუსული (I - II სემესტრი, კვირაში 2 - 2 საათი);“ ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის ქვემოთ მოცემული პუნქტების მიხედვით „.. 3. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული სავალდებულო ან ფაკულტატური სახით. 4. დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის; 5. დამატებით ფაკულტატურ მომსახურებას (წრეს) მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან. …” წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის დაკონკრეტებული აღნიშნული საგანმანათლებლო მომსახურება რა სახითაა შეთავაზებული მოსწავლეებისათვის. საათობრივი ბადის შესწავლით დგინდება რომ აღნიშნული დამატებითი საგნები ასახულია დასახელებული საგნების სემესტრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის მეორე სართულზე ერთი ოთახი გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტისთვის, რომელშიც დგას მედიკამენტების კარადა, მაგიდა და სამედიცინო ტახტი. განთავსებულია სამედიცინო საშუალებები. ოთხაში არ დგას პაციენტთა პირადი გასინჯვისთვის გამოსაყნებელი ტიხრული შირმა და საკაცე. არ არის ხელსაბანი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის სამედიცინო კაბინეტი შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და შემუშავდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო ინვენტარისა და საშუალებების ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებად შემუშავბული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, დგება მასწავლებლების მორიგეობის განრიგი. სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტი და შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • მოსწავლის ქცევის კოდექსი; • მასწავლებლის ეთიკის კოდექსი; • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს 16 ვიდეო კამერა, სადანაც 3 კამერით კონტროლდება გარე პერიმეტრი, 3-ით ეზოდა, ხოლო 10-ით სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის პერიმეტრი. ვიდეოსამეთლავყურე სისტემა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის ადმინსიტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისათვის შემუშავებულია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დირექციის წევრებსა და სხვა მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი, 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გეგმა, ადამიანური რესურსის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარების მექანიზმები, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი, კათედრის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ხანძარსაწინააღდეგო ინსტრუქცია. ზემოაღნიშნული ცალკეული დოკუმენტებიდან შინაგანაწესის შინაარსი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ბიბლიოთეკის დებულება კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს. არის შემთხვევები, როცა ჩანაწერები ბუნდოვანია. მაგალითად,: შინაგანაწესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს, რომლის: • 4.2. პუნქტის მიხედვით „... სკოლის I კლასში მშობლის განცხადების საფუძველზე მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც შეუსრულდათ 6 წელი და რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით (უნარებით) შეესაბამებიან სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში; ...“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით არ ირკვევა რა პერიოდამდე უნდა შეუსრულდეს მოსწავლეს 6 წელი. • 4.7. პუნქტის მიხედვით „... კონკრეტულ საგანში ან საგანთა ჯგუფში წარუმატებლობის შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა დავალება განსაზღვრული ვადით, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში დაიშვება მომდევნო ეტაპზე; ...“, ხოლო 4.8. პუნქტით „... თუ მოსწავლე ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ აღწევს წარმატებას, პედაგოგიური საბჭოს თანხმობით და ფსიქოლოგის რჩევის გათვალისწინებით იგი რჩება კურსის გამეორებით მოსასმენად; ...“ მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის შეფასების სისტემის შესახებ, რომლის 10.4. პუნქტის მიხედვით მოსწავლე ნიშნით ფასდება V-XII კლასებში, ხოლო 10.10. პუნქტით კი საერთო წლიური ნიშანი უნდა იყოს 5-ზე მეტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის შეფასების სისტემას მიიჩნევს შინაგანაწესის შემადგენელ ნაწილად, დაზუსტდეს აღნიშნული დოკუმენტის 4.7. და 4.8. პუნქტების შინაარსი და 10.4., 10.10.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პუნქტებთან ერთად შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის VII თავით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემასთან. • 4.12. პუნქტის მიხედვით „... სკოლის კანონმდებლობით, სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა ხდება დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, როდესაც მოსწავლის ქცევა ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ქცევის ნორმებს ან მოსწავლეს აქვს დაბალი აკადემიური მოსწრება; ...“ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული პუნქტის შინაარსში დაკონკრეტდეს ზოგადი განათლების რომელი საფეხურიდან ხდება მოსწავლის გარიცხვა და გათვალისწინებულ იქნას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 12[1] პუნქტის შინაარსი; • არც სკოლის შინაგანაწესი და არც მოსწავლის ქცევის კოდექსი არ მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ერთ-ერთ დოკუმენტში მაინც გაწეროს კონკრეტულად მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. დაწესებულება ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით განაცხადი გაკეთებული აქვს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების დაწყებითი, საბაზო და საშუალო პროგრამის განხორციელებაზე. სკოლის ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით კი სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციებსა და მოვალეობებს წარმოადგენს „... დ) სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების საბიბლიოთეკო მომსახურება; ...“ პროფესიული სტუდენტის შესახებ კიდევ ერთი ჩანაწერი გვხვდება ამავე დოკუმენტში „... 2.3.1. ბიბლიოთეკის სარგებლობის უფლება აქვს ‘რეცას” .... გ) მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებს ...“. სკოლას ეძელვა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკის დებულებთ განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იყოს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა მომსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცას წესდება; • შინაგანაწესი; • სკოლის დირექციის წევრებსა და სხვა მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების დოკუმენტი; • საქმისწარმოების წესი; • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გეგმა; • ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები; • მოსწავლეთა ქცევის კოდექსი; • მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი; • კათედრის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • ხანძარსაწინააღდეგო ინსტრუქცია.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2029 სასწავლო წელი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. განვითარების ევქსწლიანი გეგმის პრიორიტეტული მიმართლებებია: სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; აღზრდის სისტემა, უსაფრთხო სასწავლო გარემო და დისციპლინა; მოსწავლეთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზრუნვა; მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; პარტნიორული ურთიერთობების დამყარება; მართვის და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია. დოკუმენტი განსაზღვრავს მიმართულებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების პერიოდებს. პერიოდები მონიშნულია „X" ნიშნებით და გრაფებზე გადატარებულია განსხვავებული ფერი, თუმცა, რთულია გარკვევა ნიშანია განხორცილეების პერიოდის აღმნიშვნელი თუ ფერი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით „X" ნიშანი მიანიშნებს განხორციელების პერიოდს. სკოლას მიეცა რჩევა განვითარების ექვსწლიანი გეგმის ცხრილზე აქტივობის განხირციელების პერიოდის მოსანიშნად ან „X" ნიშანი გამოიყენონ, ან განსხვავებული ფერი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022) ორიენტირებულია განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის მიმართულებების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• SWOT ანალიზი; • განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2029 სასწავლო წელი); • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022); • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების სინტრუქცია, რომელშიც აღწერილია ზოგადი დებულებები, დოკუმენტბრუნვის პრინციპები, შემოსული და შიდა დოკუმენტების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები, შემოსული დოკუმენტების მიღებისა და დამუშავების წესი, შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციისა და გაფორმების წესი, გასული დოკუმენტაციის მომზადებისა და რეგისტრაციის წესი, სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და სხვა დოკუმენტების მომზადების, გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი, დავალებათა გაფორმება, ხელშეკრულებათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაფორმება და რეგისტრაცია, ბეჭდის გამოყენება, არქივი, დასკვნითი დებულებები. ავტორიზაციის ექსპერტთა სკოლის შენობაში ვიზიტის დროს გადამოწმდა საქმისწარმოების პროცესი. სკოლა საკადრო და მოსწავლეთა მობილობის ბრძანებებს, პედაგოგიური საბჭოს ოქმებს წერს ხელით. სკოლის საქმეთა მმართველის განმარტებითა და წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით მოსწავლეთა მობილობის ბრძანებები გარდა ხელნაწერი ვერსიისა, მზადდება ბეჭდური ფორმით, რათა აიტვირთოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი ბაზაში ან ჩაიდოს მოსწავლის პირად საქმეში საჭიროებისამებრ. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციაში არ არის ჩანაწერი გამოსაცემი ბრძანებისა თუ მოსამზადებელი კორესპონდენციის ფორმატზე. ხელნაწერი ბრძანებების ყველა შემთხვევაში და ბეჭდური ბრძანების ცელკეულ შემთხვევებში არ არის გამოყენებული ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით“ გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები (მაგ.: საფუძველი/შესაბამისობა, გასაჩივრების ნაწილი) (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაკონკრეტდეს დოკუმენტის ფორმატი (ბეჭდური ან ხელნაწერი) და ბეჭდურ ან ხელნაწერ შემთხვევებში გათვალისიწნებულ იქნას ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით“ გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები (მაგ.: საფუძველი/შესაბამისობა, გასაჩივრების ნაწილი) (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი). ხელნაწერი ბრძანებებისა და ოქმების ჟურნალები აკინძული, ზონარგაყრილი, გვერდებდანომრილი და ბეჭედდასმულია. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების ინსტრუქცია; • ხელნაწერი ბრძანებების ჟურნალები; • პედაგოგიური საბჭოს ხელნაწერი ოქმების ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქმეთა მმართველთან გასაუბრება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	2.1.ა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, პირველ სართულზე საწყობად გამოყენებული საკლასო ოთახებიდან გატანილ იქნას ნარჩენი მასალა, მერხების, სკამებისა და სხვა სამეურნეო ინვენტარის კონსტრუქციები, რათა დაცული იქნას ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები და უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება; 2.5. სკოლის ვებ გვერდია https://retsa.edupage.org/? რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მთავარი გვერდი, სიახლეები, სკოლის შესახებ, მოსწავლეები და მშობლები, კონაქტი. განყოფილებებიდან მხოლოდ კონტაქტის ნაწილშია შეტანილი ინფორმაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოდ სკოლის ვებ გვერდის განყოფილებების შესაბამისი ინფორმაციით შევსება; 2.6.ა. სკოლამ წარმოადგინა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი პროცედურა ზოგადია, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შემუშავდეს სკოლის საჭიროებაზე მორგებული ინსტრუქცია; 2.6.ბ. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედია დასმული. გარდა ამისა, პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა არ ემთხვევა შენობის შიდა სივრცეს (კიბის მეორე უჯრედი არ არის დატანილი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ითანამშრომლონ უფლებამოსილ ორგანიზაციასთან ან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, რათა შედგეს სწორი საევაკუაციო გეგმები; 2.6.გ. სამედიცინო დახმარების ოთხაში არ დგას პაციენტთა პირადი გასინჯვისთვის გამოსაყენებელი ტიხრული შირმა და საკაცე. არ არის ხელსაბანი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის სამედიცინო კაბინეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებთან და შემუშავდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; 2.6.დ. სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტი და შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; 2.7. შინაგანაწესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პროცედურებს, რომლის: • 4.2. პუნქტის მიხედვით „... სკოლის I კლასში მშობლის განცხადების საფუძველზე მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც შეუსრულდათ 6 წელი და რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით (უნარებით) შეესაბამებიან სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების ფარგლებში; ...“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით არ ირკვევა რა პერიოდამდე უნდა შეუსრულდეს მოსწავლეს 6 წელი. • 4.7. პუნქტის მიხედვით „... კონკრეტულ საგანში ან საგანთა ჯგუფში წარუმატებლობის შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა დავალება განსაზღვრული ვადით, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში დაიშვება მომდევნო ეტაპზე; ...“, ხოლო 4.8. პუნქტით „... თუ მოსწავლე ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ აღწევს წარმატებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პედაგოგიური საბჭოს თანხმობით და ფსიქოლოგის რჩევის გათვალისწინებით იგი რჩება კურსის გამეორებით მოსასმენად; ...“ მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის შეფასების სისტემის შესახებ, რომლის 10.4. პუნქტის მიხედვით მოსწავლე ნიშნით ფასდება V-XII კლასებში, ხოლო 10.10. პუნქტით კი საერთო წლიური ნიშანი უნდა იყოს 5-ზე მეტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის შეფასების სისტემას მიიჩნევს შინაგანაწესის შემადგენელ ნაწილად, დაზუსტდეს აღნიშნული დოკუმენტის 4.7. და 4.8. პუნქტების შინაარსი და 10.4., 10.10. პუნქტებთან ერთად შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული სასწავლო გეგმის VII თავით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემასთან. • 4.12. პუნქტის მიხედვით „... სკოლის კანონმდებლობით, სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა ხდება დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, როდესაც მოსწავლის ქცევა ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანაწესითა და მოსწავლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ქცევის ნორმებს ან მოსწავლეს აქვს დაბალი აკადემიური მოსწრება; ...“ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული პუნქტის შინაარსში დაკონკრეტდეს ზოგადი განათლების რომელი საფეხურიდან ხდება მოსწავლის გარიცხვა და გათვალისწინებულ იქნას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 12^1 პუნქტის შინაარსი; • არც სკოლის შინაგანაწესი და არც მოსწავლის ქცევის კოდექსი არ მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია ერთ-ერთ დოკუმენტში მაინც გაწეროს კონკრეტულად მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეების, შესაბამისი სანქციების განსაზღვრის პროცედურებისა და ვადების შესახებ. 2.7. დაწესებულება ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით განაცხადი გაკეთებული აქვს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების დაწყებითი, საბაზო და საშუალო პროგრამის განხორციელებაზე. სკოლის ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით კი სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციებსა და მოვალეობებს წარმოადგენს „... დ) სკოლის თანამშრომლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების საბიბლიოთეკო მომსახურება; ...“ პროფესიული სტუდენტის შესახებ კიდევ ერთი ჩანაწერი გვხვდება ამავე დოკუმენტში „... 2.3.1. ბიბლიოთეკის სარგებლობის უფლება აქვს ‘რეცას” .... გ) მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებს ...“. სკოლას ეძელვა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკის დებულებთ განსაზღვრული იყოს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა მომსახურება; 2.9. სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქმისწარმოების ინსტრუქციაში დაკონკრეტდეს დოკუმენტის ფორმატი (ბეჭდური ან ხელნაწერი) და ბეჭდურ ან ხელნაწერ შემთხვევებში გათვალისიწნებულ იქნას ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსით“ გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები (მაგ.: საფუძველი/შესაბამისობა, გასაჩივრების ნაწილი) (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი).
რჩევები:	2.8. სკოლას მიეცა რჩევა განვითარების ექვსწლიანი გეგმის ცხრილზე აქტივობის განხირციელების პერიოდის მოსანიშნად ან „X” ნიშანი გამოიყენონ, ან განსხვავებული ფერი;
ხარვეზები:	2.5. სკოლის ვებ გევრდი არ ასრულებს საინფომაციო ფუნქციას; 2.6.ბ. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებზეც დაწესებულების ბეჭედია დასმული. გარდა ამისა, პირველი სართულის საევაკუაციო გეგმა არ ემთხვევა შენობის შიდა სივრცეს (კიბის მეორე უჯრედი არ არის დატანილი); 2.6.გ. სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ შეესაბამება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს; 2.6.დ. სკოლას არ აქვს შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი; 2.7. სკოლის შინაგანაწესი არ არის შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად; 2.7. სკოლის ბიბლოთეკის დებულების ორ პუნქტში აღწერილია პროფესიული სტუნტის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 53 თანამშრომელი. მათ შორის 44 მასწავლებლი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, IT მენეჯერი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, დამლაგებელი, მნე, საქმეთა მმართველი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მძღოლი და 44 მასწავლებელი. სკოლის დირექტორის მოადგილეებთან (თ.ბ., დ.ც.) არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები. დანიშნულები არიან სკოლის დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• Eschool -ის ბაზა • შრომითი ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	44
მოწვეული/მაძიებელი	-
უსტატუსო მასწავლებლი	38
უფროსი მასწავლებლი	6
წამყვანი მასწავლებლი	-
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩევის პრინციპი არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში სულ 44 მასწავლებელი დასაქმებული, მათ შორის 6 უფროსი და 38 უსტატუსო. უსტატუსო მასწავლებლები 1. ინგლისური ენის მასწავლებელი (ა.ქ.)- არ აქვს კვალიფიკაცია 2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი (მ.ხ.)-აქვს სიგელები მაგიდის ჩოგბურთში. 3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი (მ.ლ.) - სამართალმცოდნე. 4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი (თ.ყ.) - ვეტერინარი. 5. მუსიკის მასწავლებელი (ი.ა.) - ჰუმანიტარული მეცნიერებები. 6. მათემატიკის მასწავლებელი (ნ.ბ.)- რადიოფიზიკის სპეციალობა. 7. ხელოვნების მასწავლებელი (თ.ტ.)კინოსა და ტელევიზიის მხატვარი. 8. ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებელი (ნ.ზ.) - არაბული ენის სპეციალობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	9. დაწყებითი კლასების მასწავლებელი (ლ.გ.) - მხატვრული აღზრდის მეთოდისტი. 10. სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ნ.ც.) - სამართალმცოდნე. 11. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (ხ.გ.) - ბიბლიოთეკარი 12. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (ნ.დ.) - ბიბლიოთეკარი. 13. ხელოვნების მასწავლებელი (თ.ბ.) - კონცერტმეისტერი. 14. ხელოვნების მასწავლებელი (ნ.მ.)- ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი. 15. ქიმიის მასწავლებელი (გ. მ.)- ქიმიკოსი. 16. მათემატიკის მასწავლებელი (ქ. კ.) - მათემატიკოსი 17. ფიზიკის მასწავლებელი (მ.შ.)- ქიმიის მასწავლებელი. 18. 6 უსტატუსო მასწავლებელს დიპლომში უფიქსირდება იმ საგნის შესაბამისი მასწავლებლის სპეციალობა, რომელსაც ასწავლის (ნ.ბ.-რუსული ენა, მ.ჩ.-მათემატიკა, ს.კ.-დაწყებითი, თ.ჭ.-ისტორია, ე.გ.- ინგლისური ენის, ქ.ბ.-ბიოლოგია) 19. ქართულის მასწავლებლის (ნ.ს.) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით დაწესებულებამ მოიწერა: **"ნ.ს. დიპლომის თაობაზე გწერთ. მას გაუვიდა დროებითი ხელშეკრულების ვადა და რადგანაც ვერ წარმოადგინა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აღნიშნულ პიროვნებაზე მომავალი სასწავლო წლიდან არ მოხდება ხელშეკრულების განახლება".** სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეესაბამა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრში გაგზავნილი წერილი 3 მასწავლებლის სტატუსთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მასწავლებელი მათგანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ისტორიის მასწავლებელთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილ ლინკზე http://teacherjobs.ge/43706/ გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად იყო აყვანილი მასწავლებლად. მნიშვნელოვანია, რომ ვაკანსიაში მითითებულია გამოქვეყნების თარიღად 2022 წლის 5 ივლისი და გამოხმაურების ბოლო თარიღად 2022 წლის 6 ივლისი, ხოლო სამუშაოს დაწყების თარიღად 2021 წლის 06 თებერვალი, ხოლო შრომითი ხელშეკრულება მასთან გაფორმებულია 2021 წლის 17 სექტემბერს. ასევე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ვაკანსიასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ლინკზე http://teacherjobs.ge/43705/ გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად იყო აყვანილი მასწავლებლად. მნიშვნელოვანია, რომ ვაკანსიაში მითითებულია გამოქვეყნების თარიღად 2022 წლის 5 ივლისი და გამოხმაურების ბოლო თარიღად 2022 წლის 10 ივლისი, ხოლო სამუშაოს დაწყების თარიღად 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო შრომითი ხელშეკრულება მასთან გაფორმებულია 2021 წლის 17 სექტემბერს. სკოლამ ვერ წარმოადგინა ჩატარებული კონკურსის ვერცერთი ოქმი, მათ განმარტეს, რომ ოქმები არ აქვთ, არც ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებების წიგნში არ მოიძებნა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად არ ხორციელდება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იმოქმედოდ აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, თანამშრომლებმა წარმოადგინონ ზემოთ დასახელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტები. მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება სტატუსი, მიუხედავად მათი სტატუსისა არ არის განსხვავება მათ ვალდებეულებებში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლებთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • ბრძანების წიგნი • Eschool -ის ბაზა • შრომითი ხელშეკრულებები
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში გაწერილი მუშაკის სამუშაოზე მიღების წესები „მუხლი 5. მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესი“, თუმცა არ არის განმარტებული თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის გამოცხადების წესი. მიუხედავად იმისა, რომ წესში არ იყო გაწერილი ვაკანსიის გამოცხადების შესახებ ვალდებულება, 2019 წლიდან სკოლას teachersjobs.ge - ზე გამოცხადებული აქვს 19 ვაკანსია. სკოლამ 2022 წლის 12 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარმოადგინა 2022 წლის 12 აგვისტოს წერილი N116-01, რომლსაც თან ერთვის „კადრების შერჩევის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც შედგება თანამშრობლის შერჩევის ეტაპებისა და კითხვარისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• http://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=216305200&district=

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	23; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულები, სადაც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები. ყველა მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება (მიუხედავად მათი სტატუსისა) იდენტურია, მათ ფუნქცია-მოვალეობებში არაა განსხვავება. ადმინისტრაციის წარმომადგენლებიდან, დირექტორის ორ მოადგილესთან არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით 5.1.1. მუშაკის თავის შრომით უფლებას ახორციელებს სკოლასთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით სკოლასა და მუშაკს შორის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით. ბურალტერთან, მძღოლებთან, ქოუჩ-კლასის მეთვალყურესთან, დამლაგებელთან, სამეურნეო მენეჯერად გაფორმებული ხელშეკრულების თარიღად ყველგან მითითებულია 2022 წლის 1 სექტემბერი, ხოლო მოქმედების ვადად 4.1.-ში 2022 წლის 15 ივლისია. სკოლას არ აქვს ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია არ ითვალისწინებს ხელშეკრულებების რეგისტრაციას. სკოლამ 2022 წლის 12 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარმოადგინა 2022 წლის 12 აგვისტოს წერილი N116-01 წერილი, რომელსაც თან ერთვის სკოლის თანამშრომლებთან (მათ შორის მასწავლებლებთან -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტატუსების მიხედვით) გასაფორმებელი ხელშეკრულებების მხოლოდ ნიმუშები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • საქმისწარმოების ინსტრუქცია; • გასაუბრება ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც შედგება შემდეგი პუნქტებისაგან: 1. ზოგადი დებულებები; 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნები და ამოცანები; 3. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მნიშვნელობა. 4. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები 5. სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა. 6. პროფესიული განვითარება. 7. დასკვნა მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, სადაც ნათლად ჩანს რა იგულისხმება განვითარებაში, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს ვერ წარმოადგინეს „თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზი; საჭიროებების შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიება, მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება“, რაც წარმოდგენილი დოკუმენტის მე-6 მუხლითაა გათვალისწინებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მრავალპროფილიანი სკოლა „ რეცას “ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები გამოთქვამენ კმაყოფილებას სკოლისადმი, აღნიშნავენ, რომ ყოველთვის ინფორმირებულები არიან სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, შვილების შეფასების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დამატებით ეხმარებიან მათ შვილებს. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული მეგობრობა უყალიბდებათ მასწავლებლებთან და სხვა კლასის მოსწავლეებთან საზაფხულო ბანაკში ყოფნის დროს, როდესაც უფროსკლასელები ზრუნავენ პატარებზე და მათთან ერთად ერთვებიან სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებში, რაც წინასწარ დაგეგმილია მასწავლებლების მიერ. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებთან ერთად ზრუნავენ სკოლის ეზოს მოწესრიგებაზე, რაშიც ბავშვები ხალისით ერთვებიან. მოსწავლეთა თვითმმართველობის გამოცდილება სკოლაში არ არის, თუმცა როგორც მოსწავლეები აღნიშნავენ მათ შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ სკოლის მასწავლებლებსა და დირექციას. ექსპერტების აზრით სკოლაში იქნება დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობის რეალიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მშობლებთან; • ინტერვიუ თანაშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	3.2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად არ ხორციელდება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, იმოქმედოდ აღნიშნული წესის შესაბამისად; 3.2. სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, თანამშრომლებმა წარმოადგინონ ზემოთ დასახელებული დოკუმენტები; 3.2. მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება სტატუსი, მიუხედავად მათი სტატუსისა არ არის განსხვავება მათ ვალდებეულებებში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მასწავლებლებთან გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები; 3.3. სკოლის შინაგანაწესში გაწერილი მუშაკის სამუშაოზე მიღების წესები „მუხლი 5. მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესი“, თუმცა არ არის განმარტებული თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარების წესი, ვაკანსიის შესახებ განცხადების გავრცელების/გამოქვეყნების წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს თანამშრომლის მიღების ეტაპები, კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის გამოცხადების წესი.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; 3.3 სკოლაში არ არის შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევისა და მიღებისა გამჭვირვალე სისტემა; 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ავტორიზაციის ვიზიტისას მოქმედების ვადა ჰქონდათ დასრულებული;
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 17.08.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 71 (სამოცდათერთმეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.